№ 134 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. პარასკევი, ივნისის 18 1920 წ.

**მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი**
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება. ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## ესტონეთის წარმომადგენლობა საქართველოში

აქით აცხადებს, რომ ამა წლის 18 მაისამდე ესტონეთის ნაციონალურ საბჭოდან ან წარმომადგენლობიდან ესტონეთის რესპუბლიკის ქვეშევრდომებზე მიცემული პირადობის მოწმობები და სხვა და სხვა გვარი დროებითი მოწმობები ამით უქმდება და დაუყონებლივ შეცვლილი უნდა იქნეს საზღვარ-გარეთის პასპორტებზე. ყველა პასპორტები, მიცემული წარმომადგენლობის მიერ ქ. ტფილისში ამა წლის მაისის 18-მდე, ორი კვირის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, უნდა წარედგინოს ესტონეთის წარმომადგენლობას, ელისაბედის ქ., № 68 კანტროლისა და ვიზისათვის, უამისოდ პასპორტები ნამდვილი არ არ არის. წარმომადგენლობა ღებულობს ოთხშაბათობით 11—1 საათამდე. მდივანი ღებულობს ყოველ დღე გარდა უქმეებისა 3—6 საათამდე.

1511 წარმომადგენლის თანამდებობის ამსრულებელი **ა. გავისტი.** მდივანი **როზენფელდი**

## ესტონეთის წარმომადგენლობა საქართველოში

აცხადებს, რომ წარმომადგენლობის საბჭოს ამა წლის 18 მაისის სხდომის დადგენილების ოქმი № 15 თანახმათ, ამა წლის 18 მაისიდან ალექსანდრე თედორეს ძე ბელიცი აღარ არის წევრი ესტონეთის მისიისა და ნაციონალურ საბჭოსი და ყველა საბუთები მიცემული მასზე ესტონეთის მისიის მიერ ამით უქმდება.

1551 წარმომადგენლის თანამდ. ამსრულებელი **გავისტი.** მდივანი **როზენფელდი**

### ოფიციალური განყოფილება

## ბრძანებანი

**იუსტიციის მინისტრისა.**

29 მაისი, 1920 წ., № 167.

თავისუფლება მიეცეს სამხედრო სასამართლოს პროკურორს დავით ესტატეს ძე მირიანაშვილს ამა წლის მაისის 29-დან ივნისის 7-მდე.

იუსტიციის მინისტრის მაგ. **გ. ჟორდანია.**

—

**იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.**

31 მაისი, 1920 წ. № 168.

თავისუფლება მიეცეს ავადმყოფობისა გამო იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მანქანაზე გადამწერს ეფემია ალექსანდრე გედევანიშვილის ასულს ორი თვის ვადით ამა წლის ივნისის 1-დან.

დეპარტამენტის დირექტორი **გ. ჟორდანია.**

—

**საბაჟო ნაწილის უფროსისა.**

5 აპრილი, 1920 წ., № 13.

**ინიშნებიან** სამსახურის სარგებლობისათვის ფოთის საბაჟოში: ამავე საბაჟოს მანქანაზე გადამწერი კ. კახიანი ბუხჰალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის ალმასრულებლად, მოქალაქე ვარლამ ან. ჰითანავა მანქანაზე გადამწერად; მოქალაქე იასონ ილ. ღევზაძე რეგისტრატორის თანამდებობის ალმასრულებლად; მოქალაქე ალ. ხელიძე ბუხჰალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის ალმასრულებლად და იგზავნება სალოლლის საბაჟოში ბუხჰალტრის იგივე მდივნის თანამდებობის ალმასრულებლად.

**ყაზბეგის საბაჟოში:** ტფილისის საბაჟოს საწყობის ზედამხედვლის უმცროს თანაშემწის თანამდებობის ალმასრულებელი ა. ხირსელი გამგის თანაშემწის თანამდებობის ალმასრულებლად.

ზემოაღნიშნულნი პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობებზე 20 მარტიდან ამა წლისა.

**დათხოვნილია** სამსახურიდან ტფილისის საბაჟოში: ამავე საბაჟოს საწყობის ზედამხედვლის უმცროს თანაშემწის თანამდებობის ალმასრულებელი ი. სალაყაია, თანახმად თხოვნისა, ამა წლის 13 მარტიდან.

№ 19.

**ქუთაისის საბაჟოში:** ფოთის საბაჟოს ბუხჰალტრის უმცროსი თანაშემწე ს. მესხი იმავე თანამდებობაზე. მელანია ივანეს ასული დიდიძე მანქანაზე გადამწერის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად; ქ. ონში მცხოვრები გრიგოლ ს. ჯაფარიძე რეგისტრატორის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად.

**ახალციხის საბაჟოში:** ტფილისის საბაჟოს საწყობის ზედამხედვლის უმცროსი თანაშემწე გ. დადიანი გამგის თანაშემწედ.

**ბოგდანოვკის საბაჟოში:** ახალციხის საბაჟოს გამგის თანაშემწის თანამდებობის ალმასრულებელი ე. ახვლედიანი იმავე თანამდებობაზე.

ზემო აღნიშნულნი პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობებზე ამა წლის 16 აპრილიდან, გარდა ბაგრატიშვილისა და ჭავჭანიძისა, რომელნიც ინიშნებიან ამა წ. 1 აპრილიდან.

№ 20.

**ინიშნება** ტფილისის საბაჟოში: ყოფილი საქმის მწარმოებელი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი გიორგი იოსელიანი მდივნის უფროს თანაშემწის თანამდებობის ალმასრულებლად ამა წლის 19 აპრილიდან.

სამინისტროს საბაჟო განყოფილების მმართველი **ბ. მიქაძე.**

№ 21.

**ინიშნებიან** ტფილისის საბაჟოში: ამავე საბაჟოში რეგისტრატორის თანამდებობის ალმასრულებლად დაშვებულნი: ვ. ქანდარია საწყობის ზედამხედვლის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად, მოსე სიხარულიძე მდივნის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად; მოქალაქე ვლადიმერ ხუროშვილი ბუხჰალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად; ქუთაისის გიმნაზიაში კურს დამთავრებული სილოვან გაბელაშვილი მდივნის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად; ირინე დავითის ასული ხოშტარია რეგისტრატორის თანამდებობის დროებით ალმასრულეელად; ყოფილი მსმენელი ქართული უნივერსიტეტისა ნატალია მიხეილის ასული გოგატიშვილი რეგისტრატორის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად.

ზემო აღნიშნულნი პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობაზე ამა წლის 21 აპრილიდან.

**დითხოვნილია** სამსახურიდან: ტფილისის საბაჟოში: ამავე საბაჟოს მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით ალმასრულებელი დ. მაისურაძე, სხვა სამსახურში გადასვლისა გამო, ამა წლის 20 მარტიდან.

საბაჟო ნაწილის მმართველი **ბ. მიქაძე.**

—

**ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა**

14 მაისი, 1920 წ., № 27.

**გამწესებულნი არიან:** მოქალაქენი: მარიამ თაქთაქიშვილისა, ტატიანა მონიავა, თამარ ხუციშვილი, სოფიო კოტეტიშვილი, ნინო გოგლიჩიძე და ყოფილი მოხელე დარია გრიგოლაშვილი მეექვსე ხარისხის მოხელეებათ; თაქთაქიშვილი—ზესტაფონში, ხუციშვილი და გრიგოლაშვილი—ხაშურში, კოტეტიშვილი და მონიავა—ბორჯომში, გოგლიჩიძე ქუთაისის ტელეფონის ქსელზე; მოქალაქე ნესტორ ჰუმბურიძე ზედამხედველათ დაბალი ჯამაგირით დუშეთში; ყოფილი ფოსტალიონები: გრიგოლ ხოხობოვი და ანდრია გოპაძე მეორე კატეგორიის ფოსტალიონებათ, ხოხობოვი მანგლისში, გოპაძე ხორაშაში, ჰუმბურიძე და ხოხობოვი 16 მაისიდან, გოპაძე 17 მაისიდან, გოგლიჩიძე 21 მაისიდან, დანარჩენნი 18 მაისიდან 1920 წლისა.

**დანიშნულნი არიან:** უფროსი მექანიკოსი ტფილისის სამოქალაქო ქსელისა ირაკლი იანქოვი ამავე ქსელის უფროსათ, უფროსი მექანისოკი ალექსანდრე მეგრაბიანცი იმავე ქსელის უფროსის თანაშემწეთ; ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: რკინის გზის განყოფილების ვასილ გძელიძე, ტფილისის ტელეგრაფის მეორე ხარ. გიორგი ხრამელოვი, მესამე ხარისხის გიორგი დვანაძე, მეოთხე ხარ. იულია კანდელაკი, ტფილისის ფოსტის კანტორის მეოთხე ხარ. ზოსიმე თორაძე და ფილიპე მახარაძე, ბორჯომის მეორე ხარ. ვასილ ხარებოვი, ქუთაისის მეექვსე ხარისხის მარიამ დოლონაძე, ხაშურის მეხუთე ხარისხის გარეგინ ოგანიანცი, სამტრედიის მეექვსე ხარისხის პორფილე კაკაბაძე, სურამის მეექვსე ხარ. შალვა შელიავა, ფოთის მეოთხე ხარ. აქსენტი ხელიძე და მესამე ხარ. ირაკლი შოთაძე, ახალსენაკის მეოთხე ხარისხის აქსენტი კობახიძე, სიღნაღის მეოთხე ხარ. ვლადიმერ ჯანიკოვი, ოჩემჩირის მეხუთე ხარისხის ისააკ ცანავა, სოხუმის მეხუთე ხარ. ვასილ სოსელია და მესამე ხარ. სოლომონ გამრეკელაშვილი და ფოსტალიონი სოხუმის კანტორისა ისიდორე კაკაჩია ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ იმავე კანტორებში: ხრამელოვი და ხარებოვი პირველი ხარისხით, დვანაძე მეორე ხარისხით, შოთაძე, ჯანიკოვი და გამრეკელაშვილი მეორე ხარისხებით, თორაძე, ხელიძე და კობახიძე მესამე ხარისხებით, ოგანიანცი, ცანავა და სოსელია მეოთხე ხარისხებით, გძელიძე, დოლონაძე კანდელაკი, კაკაბაძე და შელიავა მეხუთე ხარ. და კაკაჩია მეექვსე ხარისხით; იანქოვი იანვრის პირველიდან, მეგრაბიანცი 1 მაისიდან; კანდელაკი და დოლონაძე 16 მაისიდან, დანარჩენნი 1920 წლის 21 მაისიდან.

**გადარიცხულნი არიან:** ფოთის ტელეფონის ქსელის მოხელეები: მეოთხე ხარ. ნინო გვალია, მეხუთე ხარისხის ოლღა კასრაძე და მეექვსე ხარისხის ნინო იზორია ფოთის ფოსტის კანტორის შტატში—ფოთის ტელეფონის ქსელის შტატის გაუქმების გამო მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან.

**გადაყვანილნი არიან:** ფოსტალიონები: ტფილისის ფოსტის ალექსანდრე მანგიაშვილი, ხორშის განყოფილების გიორგი ლემანჯავა, ზედამხედველები: ზესტაფონის—ვასილ მოსიძე და მანგლისის—პოლიკარპე-იპოლიტე ჯიჯეიშვილი და ფ.-ტ. მოხელეები: ახალციხის მეორე ხარ. ტროფიმე ინასარიძე, წნორის წყლის მეექვსე ხარ. მიხეილ იმნაძე, ზუგდიდის მეხუთე ხარ. სამსონ-იოსებ სარია და ქვემო მაჩხაანის განყოფილების მეხუთე ხარ. სიმონ კიკილაშვილი იმავე წოდებებით: მანგიაშვილი მცხეთაში, ლემანჯავა—ფოთში, ჯიჯეიშვილი—შულავერში, სარია—წნორის წყალზედ, კიკილაშვილი—დედოფლის წყაროზედ, ინასარიძე—ტფილისის ტელეგრაფში, მოსიძე—მექვენაში, იმნაძე—ქვემო მაჩხაანში; სარია, კიკილაშვილი და იმნაძე 21 მაისიდან, ინასარიძე 17 მაისიდან, ჯიჯეიშვილი 18 მაისიდან, მანგიაშვილი, ლემანჯავა და მოსიძე 16 მაისიდან 1920 წლისა,

**დათხოვნილნი არიან სამსახურიდან:** მოანგარიშე მოხელე სამმართველოსი თამარ ჩერქეზიშვილი და ფ.-ტ. მოხელეები: გორის—ნინო მეიფარიანი და ლიუდმილა ფანიევისა; ტფილისის ტელეფონის ქსელის—თამარა გაჩეჩილაძე და ფოსტალიონები მანგლისის სიმონ იორდანოვი და სოხუმის—ილარიონ სანოძე; მეიფარიანი, დანიევისა და იორდანოვი 11 მაისიდან, ჩერქეზიშვილისა 1 ივნისიდან, სანოძე 21 მაისიდან და გაჩეჩილაძე 21 მაისიდან 1920 წლისა, ხოლო ჩერქეზიშვილისა და სანოძე ავადმყოფობის გამო.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

### არა ოფიციალური განყოფილება

## ფინანსთა სამინისტროში

**კანონ-პროექტი კრედიტის ბლსადგენად.**

ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრმა ე. კოზლოვსკიმ შეიმუშავა კანონ-პროექტი იმ ზომების შესახებ, რომელნიც საჭიროა კრედიტის ნორმალურ პირობების ალსადგენად. ამ კანონ-პროექტში განსაკუთრებით საყურადღებოა ის პუნქტი, რომელიც ეხება შენახვისთვის ჯილდოს მიცემას. საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილმა რუსეთის შემნახველმა კასებმა თავისი მოქმედება თითქმის შესწყვიტეს, ვინაიდან მცხოვრებლებმა ყოველივე რწმენა მათდამი დაჰკარგეს. ეხლა განზრახულია ამ კასების სახალხო დამგროვებელ კასებად გადაკეთება. ამ კასების გამგებლად ფინანსთა სამინისტროს განზრახული აქვს ადგილობრივ პირების მიწვევა, რომლებიც მცხოვრებლებში ნდობით სარგებლობენ. გამგეობას აირჩევენ ისინი, ვინც კასაში ფულს ჩასდებს. გარდა ამისა განზრახულია ჩადებულ ფულზე პროცენტების გადიდება, ვინაიდან ახლანდელი პროცენტი—3½ ვერავის ვერ დააკმაყოფილებს. მაგრამ გარდა ამისა განზრახულია განსაკუთრებული ჯილდოს მიცემა შემდეგი ფორმით: ყოველ შემნახველ წიგნის მეპატრონეს, რომელსაც წლის განმავლობაში 1000 მან. ქონდა შენახული, უფლება ეძლევა სრულიად უფასოდ მიიღოს მონაწილეობა ლატარიაში, რომელშიაც ყოველთვიურად 1000 შემნახველ წიგნზე 1000 მან. ჯილდო გათამაშდება. ამ რიგად ყოველი 1000 მან. შემნახველს უფლება ეძლევა წლის განმავლობაში 12 ლატარიაში მიიღოს მონაწილეობა. კასებში ხალხის ფულის შენახვა ქართული ეროვნულ ბანკს საშუალებას მისცემს დააგროვოს მბრუნავი თანხები და აქტიური ოპერაციები განავითაროს, რაც, რასაკვირველია, კარგ გავლენას იქონიებს სახალხო მეურნეობის და მრეწველობის აღორძინებაზე.

**ფინანსთა მინისტრის საბჭოში**

18 ივნისს ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგება მინისტრის საბჭოს სხდომა. ამ სხდომაზე გაირჩევა საკითხი გორის სამაზრო ერობის მიერ 10 მილ. მან. საობლიგაციო სესხის გამოცემის შესახებ, საკითხი საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის წესდების შესახებ და ტარიფის დაწესება იმ საქონელზე, რომელიც საზღვარ გარეთიდან შემოაქვთ.

**კონცესიები და მონოპოლიები**

19 ივნისს შესდგება სხდომა საფინანსო კომისიისა. განსახილველად ორი საკითხი არის დანიშნული: 1. ჰიდრავლიულ ენერგიის გამოყენების ნორმალურ საკონცესიო ხელშეკრულების პროექტის განხილვა და 2. საკონცესიო ხელშეკრულების ძირითადი პირობების პროექტის განხილვა.

**სპეკულიანტების დაბეგვრა.**

ფინანსთა სამინისტროში მუშავდება პროექტი სპეკულიანტურ მოგებაზე გადასახადის დადების შესახებ.

**აქციზი ღვინოზე.**

ფინანსთა სამინისტროში თათბირობენ 1919 წლ. 31 ივლისის კანონის გავრცელებაზე სხვა და სხვა რაიონებში. ეს კანონი ეხება ღვინოზე აქციზის დაწესებას. ამ ჟამად ღვინის ნამდვილ მოსავალზე აქციზს იხდიან მხოლოდ ოთხ ქალაქში. ტფილისში, ქუთაისში, სოხუმში და ფოთში: სხვა ქალაქები კი იხდიან ღვინის ვაჭრობის უფლების მიღებისათვის წლიურ გადასახადს, ეხლა

შიზნათ აქვთ აქციზი გაავრცელონ ყველა ქალაქზე, და აგრეთვე იმ რაიონებზე სადაც ღვინო არ მოდის, არამედ ყიდვა გაყიდვის საგანს წარმოადგენს. გადასახადი არ ეხება ვენახის მესაკუთრეებსა და ვენახის მოიჯარადრეებს. აქციზს გადაიხდიან ნებართვის მიცემის სახით იმ ადგილებში სადაც ღვინოს ამზადებენ. ამ ზომიდან ელიან 500 მილიონი მანეთის შემოსავალს ხაზინაში. აქამდის ამის მეხუთედიც არ შემოდიოდა. ამ ზომის საჩქაროდ ცხოვრებაში გატარებით დაინტერესებული არიან ერობები და ქალაქები, რომლებიც ამ შემოსვლიდან 20% ღებულობენ.

# სამხედრო ცნობა

**ტფილისი. ივნისის 17. მთავარი შტაბის ცნობა.**

გრძელდება მთა ოსეთის გაწმენდა მძარცველ ბრბოებისაგან. სხვა მიმართულებით სიწყნარეა.

# ე რ ო ბ ა

**ტფილისის სამაზრო ერობაში.**

**ყარაიაზის რაიონში.** ერობის გამგეობამ დაადგინა იშუამდგომლოს ქ. ტფილისის და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორის წინაშე რათა მან ყანაიაზის რაიონში, სადაც ყაჩაღთა ელემენტებია მრავლად და მთელ რაიონში მცხოვრებთ შორის მოუსვენრობას ჰქმნის, მიექცეს სათანადო ყურადღება, რადგან ყაჩაღთა ბრბოების ასალაგმავად არა ჰყოფნის ადგილობრივი მილიცია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტად ფხიზლად დ მუყაითად ეკიდება თავის საქმეს.

**ხაშმის სამინისტრო მამული.**

ხაშმელებისგან ჩამორთმეულ სამინისტრო მამულის ყურის გდება მიენდო აგრონომიულ განყოფილებას, ხოლო მამულის ფაქტიური აღწერისთვის დაინიშნება სპეციალი კომისია.

**წამლეულობის შესყიდვა.**

საგარეჯოს, დილმის, მარტყოფის და ივრის მედ.-სანიტარულ პუნქტებისათვის შეძენილ იქნება საჭირო წამლეულობა.

**მედ.-სანიტ. პუნქტები.**

მედიკო-სანიტარულ პუნქტების რემონტისთვის გაღებულია: დილმის მედ. სანიტ.—5000 მან., აღბულაღისთვის—28.000 მან. და საგარეჯოს—26.000 მან.

**„საბერო“ მამულის გადმოცემისთვის.**

ერობამ აღძრა შუამდგომლობა მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ მანამ გადაწყდებოდეს საერთოდ საკითხი საერობო ფონდში მიწების გადმოცემისა, გადმოეცეს მას საიჯარო პირობებით ეგრეთ წოდებული „საბერო“ მამულიდან 20 დესეტინა მიწა.

**ფერმის ძროხების შესანახად.**

ფერმის ძროხების შესანახად აგრონ. განყ. განკარგულებაში გადაიდო 10.000 მანეთი.

**სურსათის რაციონი—მაზრის მოსამსახურეთათვის.**

ერობამ სასურსათო განყოფილებას დაავალა აღძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს, რომ მუშათა მაგიდის სურსათის რაციონის მიცემა გავრცელდეს მაზრაში მყოფ მოსამსახურეებზე საერთო ნორმით.

**სათიბი ადგილები მილიციისათვის.**

ერობამ სათანადო შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე რათა ერობას მილიციისათვის ყველა რაიონებში დაეთმოს სათიბი ადგილები.

# მდგომარეობა ბორჩალოს მაზრაში

დამფუძნ. კრების წევრი ი. ლორთქიფანიძე, რომელიც წასული იყო ბორჩალოს მაზრაში ტფილისში დაბრუნდა. საქ. დეპ. საგ. თანამშრომელთან საუბრის დროს ი. ლორთქიფანიძემ ბორჩალოს მცხოვრებთა განწყობილება დაახასიათა და აღნიშნა, რომ მათი საქართველოს მთავრობისადმი დამოკიდებულება არის მეტად კეთილსასურველიო. მცხოვრებთა სხვა და სხვა მიმდინარეობანი, მრავალნი ეროვნება, რომლებიც ბორჩალოს მაზრაში არიან გაფანტულნი, საქართველოს სახელმწიფოებრიობას უჭერენ მხარს. ეს სავსებით გამოაშკარავდა უკანასკნელ საქართველო-ადერბეიჯანის ომის დროს, როდესაც ერობის ხმოსანთა ინიციატივით და ხელმძღვანელობით იქ იკრიბებოდა მდიდარი საჩუქარი ფულით და ნატურით ფრონტის სასარგებლოდ. მიუხედავად მრავალ რიცხოვან აგენტების მალული მუშაობისა და პროვოკაციისა, ადგილობრივმა მუსულმანობამ თავი შეიკავა და პროვოკაციას არ აჰყვა. მაზრაში არის სურსათის ნაკლულოვანება და ამ სფეროში მცხოვრებთ დახმარება ესაჭიროება. უკანასკნელმა წვიმებმა და სეტყვამ საშინლად იმოქმედა ბორჩალოს მაზრაში, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ წელს მოსავალს კარგს ელიან.

მაზრის ავადმყოფი ადგილი ეს ნეიტრალური ზონაა, რომელიც მას აკრავს, ეს ზონა, როგორც ეთნოგრაფიულად, ისე ეკონომიურად ბორჩალოსთან და ტფილისთან არის დაკავშირებული. ეხლა კი ის ტერიტორია თითქმის მოწყვეტილია თავის მთელიდან. ფაქტიურად გამოვიდა ის, რომ მაზრის გვერდით ვილაც ბნელი პირების თავშესაფარი ადგილი შეიქნა, სადაც იმალებიან მძარცველნი, ქურდები და ყაჩაღები. აღნიშნულია შემთხვევები, როცა ადგილობრივმა მძარცველებმა ჯოგი ნეიტრალურ ზონაში გადენეს. ეს მტკივანი საკითხი, როგორმე უნდა გადაწყდეს, მით უმეტეს, რომ ამ ზონის მცხოვრებთა უმეტესობა საქართველოსკენ მოისწრაფის, რის შესახებაც მათთვის წარმომადგენლების პირით არა ერთხელ განუცხადებიათ, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალურ მთავრობისათვის.

ი. ლორთქიფანიძე ამ ახლო მომავალში კვლავ მიემგზავრება ბორჩალოს მაზრაში.

# მდგომარეობა გაგრაში

დამფუძნ. კრების თავმჯდომარის სახელზე გაგრიდან დეპეშები არის მოსული, რომლითაც იტყობინებიან, რომ გაგრის ქალაქის თვითმართველობა ქალ. გაგრის ფინანსიურ მდგომარეობას მეტად გაჭირვებულად აღიარებსო. საჭირო ხდება საკითხის აღძვრა ან ქალაქის, ან კლიმატიურ სადგურის გაუქმების შესახებ. ქალაქის მცხოვრებნი დიდი ხანია შუამდგომლობენ ქალაქის თვითმართველობის სააგარაკოთი შეცვლის შესახებ, რომლის სათავეში იქნება სახელმწიფო კლიმატიური სადგური, რომელსაც სხვა და სხვა შემოსავლიანი წყაროები აქვს, როგორც მაგალითად, წყალი, განათება, საავადმყოფო, ნავთსადგური, ეკლესია, ტეხნიკური მოწყობილებ და სხ. ამასთანავე ქალაქს უიმისოდ არ შეუძლია არსებობა. დეპეშაში აღნიშნულია ქალაქის საქმეების გამოსარკვევად სპეციალური სენატის რევიზიის დანიშვნის საჭიროება. დასასრულ დეპეშაში მიუთითებენ საჭიროებაზე, რომ დემოკრატიზმის საფუძველზე დაარსდეს საგარაკო მართველობა, რომელსაც უნდა მიენიჭოს ქალაქის თვითმართველობის უფლებები, აღნიშნულ დეპეშაზე უწერია ხელი სახლის მეპატრონეთა და მემამულეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ა. შენგელაიას.

# ახალციხის ფრონტზე

ტფილისში ახალციხიდან დაბრუნდა ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე ს. ქორქოლიანი, სადაც მან საჩუქრების ტრანსპორტი წაიღო ახალციხის ფრონტზე მდგომ რესპუბლიკის დამცველთათვის დასარიგებლად.

ს. ქორქოლიანმა საქ. დეპ. საag. თანამშრომელს განუცხადა, რომ საჩუქრები გაგზავნილი იყო ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის სავაჭრო-სამრეწველო პალატის და პროლეტარიატის (პროფესიონალურ კავშირების) სახელით.

ჩვენ მოგვეცა საშუალება გავცნობოდით ჩვენის საპიორების და ჯარის ნაწილების მუშაობას. ისე ჩქარა აკეთებენ გზას, რომ მომუშავეთა ენერგია და გამოცდილება ჩვენში გაკვირვებას იწვევდა. ჩვენ, სთქვა ს. ქორქოლიანმა, ცოტა ხნით ახალციხეში შევჩერდით, და დავტოვეთ იქ ნაწილი საჩუქრებისა. დანარჩენი წავიღეთ პირდაპირ ფრონტზე. კომისიას აღფრთოვანებით შეხვდენ.

გადაეცით ზურგს, განაცხადა ჯარის წარმომადგენელმა, რომ ჩვენ ფიცს ვდებთ წმინდათ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ჩვენ გამოვასწორებთ ჩვენ ულირს ამხანაგების შეცდომას და ვანახვებთ სამშობლოს, როგორ შეუძლიათ უყვარდეს იგი მის შვილებს. გადაეცით ჩვენი მთავრობის მეთაურს—ნოე ჟორდანიას, რომ მის პირველ დაძახებასთანავე, ჩვენ მზათ ვართ წავიდეთ იქ, სადაც გაგვგზავნიან, მზათა ვართ შევასრულოთ ის, რასაც ჩვენი ხალხური მთავრობა გვიბრძანებს.

მცხოვრებნი თანაგრძნობით ეპყრობიან ჯარს. ფრონტი ტელეგრაფით და ტელეფონით კარგათ არის მოწყობილ. ს. ქორქოლიანი გადმოგვცემს, რომ მას ესმოდა სროლა აჭარიდან. დაზვერვამ გამოარკვია, რომ დამო კიდებულება აჭარლებს შორის გამწვავდა, და რომ მათ უკვე რამოდენიმე შეტაკება მოუვიდათ ერთმანეთს შორის. ესევე დაამოწმეს ახალციხეში მოსულმა გამოქცეულმა აჭარელებმა.

ფრონტის ჯარებმა გვთხოვეს გადავეცა მადლობა საჩუქრების გაგზავნისთვის ტფილისის პროლეტარიატისთვის და სავაჭრო-სამრეწველო პალატისთვის.

# აგრარული რეფორმა

ტფილისში დაბრუნდა განსაკუთრებული კომისია, რომელშიც შედიოდა: საქართველოს სამიჯნაოს გამგე ვ. გოგილაძე, ტყეების ვიცე-ინსპექტორი ნ. ბრეგვაძე და მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებული ი. ხელაძე. ეს კომისია გაგზავნილი იყო გორის მაზრაში მიწათ-მოქმედების დაწესებულებათა მოქმედების გამოსარკვევად. კომისიამ რევიზია გაუკეთა გომისა და ქარელის რაიონებს. ეხლა კომისიამ მიწათ-მოქმედების მინისტრს წარუდგინა მოხსენება აგრარულ რეფორმათა ცხოვრებაში გატერებისათვის წარმოებულ მუშაობისა და მის დასაჩქარებელ ზომების შესახებ. თავის მოხსენებაში კომისია აღნიშნავს, რომ მან უმოქმედობისათვის დაშალა ავლევის საგრარო კომისია. გორის ერობის სამიწო განყოფილებას წინადადება მიეცა სასწრაფოდ შეადგინოს ახალი აგრარული კომისია და ყურადღება ექნეს მიქცეული მაზრაში მყოფ სააგრარო კომისიებისა და მიწის მზომელთა მოქმედებაზე. რამდენიმე ადგილას გადააყენეს ტყის მცველები თავის ვალდებულებათადმი გულგრილათ მოპყრობის გულისათვის. ადგილობრივ რაიონულ საერობო თვითმართველობას წინადადება მიეცა სამინისტროში ამ ადგილების დასაჭერად წარმოადგინოს სია იმ კანდიდატებისა, რომლებიც ხალხის ნდობით სარგებლობენ. რადგანაც კომისიის მუშაობის შედეგები დამაკმაყოფილებელია, ამიტომ მიწათ-მოქმედების მინისტრი ფიქრობს დრო გამოშვებით მაზრებში გააგზავნოს კომისიები ადგილობრივ დაწესებულებათა მოქმედების სარევიზიოდ.

# ფრონტისათვის

**ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის ფულით და ნივთებით შემოწირულებათა ანგარიში.**

ბოკოლიშვილი 10 მ., არეშიძე 10 მ., მიქაბერიძე 50 მ., ლვანესოვი 10 მ., მურადიანი 50 მ., პოლოსოვი 50 მ., ვ. ალშიბაია 100 მან., იოსებ გუგუშვილი 100 მ., ანტ. წულუკიძე 100 მ., ალ. ჯინორიძე 500 მ., ჭინჭარაშვილი 500 მ., პლატონ რატიანი 1000 მან., გ. ასათიანი 200 მ., ს. ბაკურაძე 100 მან., ვ. კობახიძე 200 მ., ლ. მასხარაშვილი 200 მ., ვახ. მატალიშვილი 300 მ., ნ. ფოფხაძე 200 მ., იას. გეგიაძე 200 მ., ლ. ჩიკვილაძე 300 მ., ახმედოვი 200 მ., ათ. მასხარაშვილი 500 მ., ნიკ. მასხარაშვილი 500 მ., ტფ. საბაჟოს შრომის არტელი 3000 მ., ალ. ჯინორიძე 300 მ., შავიშვილისაგან 300 მ., აბ. ხატოვი 200 მ., ლევ. ლოლობერიძე 200 მან., ნ. ამირეჯიბი 10 მ., კ. აბრამიძე 50 მ., სასტუმრ. ფლორენცია 100 მ., ვარ. მაღლაკელიძე 20 მ., სოფ. ხორავა 100 მ., ალ. ვახანია 10 მ., ოშავმაშვილი 50 მ., ნინუა 100 მ., ნ. ბაღდავაძე 50 მ., პ. მგალობლიშვილი 50 მ., კ. დოლიძე 100 მ., ს. ჯანაშია 50 მ., ბეს. ბურჭულაძე 100 მ., კ. ფირცხალაიშვილი 30 მ., თ. ჭრელაშვილი 20 მ., ალექსანდრე 20 მ., კ. მაისურაძე 50 მ., მელქისედეკი 50 მ., ვ. ჩაჩიბაია 100 მ., აბრამინტერ 50 მ., მ. კალანდაძე 50 მ., კ. გიორგობიანი 100 მ., ი. ზამუკოვი 50 მ., მ. პეტროსიანი 25 მ., გ. ოგადჟანოვი 100 მან., ბ. ჰინჭარაძე 100 მ., პ. ბოზარჯიანცი 100 მან., კონდიტ. გეურქოვის 50 მ., ზახარიანცი 50 მ., მემიდოვი 50 მ., ა. სამოვი 50 მ., სოფ. ხუმარაძე 50 მ.,, არაქელოვი 10 მ., ლ გასპაროვი 50 მ., ან. უზენიანცი 100 მ., სამსონოვი 25 მ., უზუნიანცი 100 მ., ტერ. გრიკუროვი 20 მ., აკოფოვი 20 მ., პ. ვეფხვაძე 30 მ., მიხ. აცანელი 50 მ., ვას. შოთაძე 324 მ., ვას. მარკოზაშვილი 30 მან., გიორ. ჭინჭარაშვილი 50 მ., მოსე ლორია 50 მ., მიხ. ნაზაროვი 100 მ., ვას. მახარაძე 50 მ., ნიკოგოსოვი 50 მ., გიორგი გრიგორია 100 მ., სტ. სამაილიდი 100 მ., არჩ. მაისურიძე 50 მ., მ. სოსოპაშვილი 50 მ., არშ. ოგანეზოვი 20 მ., გ. მერობაშვილი 50 მან., არტ. ბარდაველიძე 50 მ., ნ. ავალიანი 100 მ., ალ. ლომსაძე 200 მ., მ. პაულიდი 100 მ., კ. მურანიძე 50 მ., დ. კურცხალია 50 მ., ვ. სიმონიანცი 20 მ., გ. ფაშალოვი 100 მ., პ. ჯოხიძე 50 მ., ი. კაკაურიძე 80 მ., ი. შონოვი 100 მ., ღზუნიანცი 100 მ., რ. აკოფოვი 50 მ., არ კამალიანეც 45 მ., პ. ოსიპოვი 50 მ., ნ. აბჟანდაძე 100 მ., გარსარქისიანა 50 მ., ალ. კულიევც 50 მ., აკ. ბაბუროვი 50 მ., მიხ. აკოფიანცი 20 მ., გ. პეტრიაშვილი 50 მ., ვას. არჩვაძე 50 მ., ისმ. ბუსეილლი 100 მ., კ. ჭიჭინაძე 200 მ., მიზ. აფიროვილი 100 მ., არშ. ხაჩატუროვი 50 მ., გ. დათუაშვილი 300 მ., გ. არჩვაძე—100 მ., ილ. დარახველი-ე 100 მ., ასან აშანოლლი 100 მ., საემოვი 20 მ., სიმ. პეტრიაშვილი 100 მ., კოზანდუროვი 50 მ., გ. მესხიშვილი 100 მ., ს. აკოფოვი 50 მ., ხაჩ. კასპაროვი 50 მ., ი. სიზანოვი 50 მ., კ. ნანობაშვილი 50 მ., ლ. ანანოვი 20 მ, ნ. მაღლაკელიძე 50 მ., კუპრაძე, ლექავა 100 მ., კარაპეტ განაველი 100 მ., ნ. სატიაშვილი 100 მ., გ. გოიშევი 50 მ., გ. დაბუშვილი 200 მან., როსტომოვი 200 მ.

აქციონერული საზ. „ქირომა“-საგან: საპონი 10 ფუთი.

ხარფუხის სამოქალაქო სკოლისაგან: 29 პარკი საჩუქარი.

თამარ-მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიისაგან 39 პარკი საჩუქარი.

ქუკიის სამოქალაქო სასწავლებლისაგან მიღებულია საჩუქრები: 29 პარკი, ტფილისის ვაჟთა 1 გიმნაზიისაგან 101 პარკი, ტფილისის ქალთა 1 გიმნაზიისაგან 210 პარკი, ტფილისის ქალთა III გიმნაზიისაგან 694 პარკი, საქართველოს მთავრობის სტამბისაგან 400 ფურც. სასწ. ქალალ. ტფილისის ვაჟთა II გიმნაზიისაგან 124 პარკი. ლევანდოვის კერძო გიმნაზიისაგან 114 პარკი, ავლაბრის 3 დაწყებითი ნ. ს. ჩხეიძის სახელობის პირველ დაწყებითი ქარ. სკოლისაგან 32 პარკი საჩუქარი.

ზემო სოლოლაკის მოქალაქეთაგან მახორკა 31 პაჩკა, პაპიროსი 50 კოლოფი, თუთუნი 17 პაჩკა, ასანთი 100 ცალი, კონვერტი 50 ცალი, პაპიროსის ქაღალდი 25 პაჩ.

მიხ. უშმორისაგან ხელსახოცი 2 ცალი, გალსტუკი 3 ცალი, ქამრის აბზინდი 2 ცალი, პერანგის დუგმა 6 ცალი, კნოპკა 2 კარტა, ბამბუკის ქალ. შლიაპა 1 ცალი, მეტენგი 4 წყვილი, კბილ. ფხვნილი 2 კოლოფი, ხელის საპონი 3 ცალი, საყელოს საჭრელი 5 დიუჟინი, კრუჟო 1 კარტა, გარნიტური 1 ცალი, პატარა ქალის შლიაპა 1 ცალი, შარვლის საჭერი—2 ცალი, ცხვირსახოცი 3 ცალი გლიცერინი „ველურ“ 1 ცალი, მარაო 1 ცალი, ელექტრონის ფარანი 1 ცალი, საპონი ტუალეტნი 2 დიუჟინი, ბუტალინი 2 დიუჟინი.

P. S. აქ მოყვანილი ანგარიში თუ შეცდომას შეიცავს კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს ყველას დაუყონებლივ ეცნობოს ეს გარემოება მთავარ კომიტეტს (ტფილისი, სასახლე).

# უცხოეთი

**ოდესის აღება.**

გაზეთ „ჟურნალ ორიენი“ უკრაინის მისიას ატყობინებს, რომ უკრაინელებს ოდესა აუღიათ.

**ბოლშევიკები ყირიმში.**

ივნისის პირველ რიცხვებში ბოლშევიკების შეთქმულება აღმოაჩინეს. საერთოდ ბოლშევიკები თავის მიზნების და პროპაგანდის გასავრცელებლად არაფერს ერიდებიან. ამ ცოტა ხნის განმავლობაში ოდესიდან სევასტოპოლში ჩასულა აგიტატორი ხრამცოვი. ხრამცოვი დაიჭირეს მაშინვე, მაგრამ ის ფანჯრიდან გადახტა, რომ თავი დაეხწია ტყვეობიდან. ფანჯარა მეტად მაღალი ყოფილა და ხრამცოვი ისე დაცემულა, რომ მაშინვე გარდაცვლილა. შეთქმულებს შორის დაჭერილი ბოლშევიკები იქნება ოც კაცზე მეტი.

**ყ ა რ ა ბ ა ხ შ ი.**

ყარაბახიდან იტყობინებიან, რომ თათრებს თავიანთი პოზიციები დაუტოვებიათ და გარბიან. მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები სომხების ხელშია და წინ მიიწევენ.

**ფინლიანდია და საბჭოთა რუსეთი.**

ამ ჟამად დერპტში ფინლიანდიასა და საბჭოთა რუსეთის შორის სწარმოებს მოლაპარაკება ზავის შესახებ. ფინლიანდია მოითხოვს რუსეთიდან, რომ მან ხელი აიღოს პეჩენეგის და აღმოსავლეთ კარელის სუვერენულ უფლებებზე.

**ხალხთა ლიგა.**

ხალხთა ლიგის სხდომა შესდგა 14 ივნისს ქალაქ ლონდონში. 17 ივნისს გაიხსნება საჯარო კრება, რომელზედაც გამოჰქვეყნდება საყურადღებო საკითხები.

### პრემიერთა შეხვედრა.

ლოიდ ჯორჯის და მილიერანის შეხვედრა მოხდება 21 ივნისს ბულონში.

### ს ო მ ხ ე თ ი.

მზრუნველობის მინისტრმა ამერიკის კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა მან მისცეს საჭირო ფქვილი: დარალაგეზის, სურმალინის, სარიყამიშის, ახალ ბაიაზეთის რაიონებს, რომელნიც დიდ უსურსათობას განიცდიან.

## ბაქოში.

ბაქოს გარნიზონმა სოვდეპში ამოირჩია მუსტაფა ნარიმანოვი.

— ქალაქის რაიონში არჩეულია 80 დეპუტატი. მათ შორის 70 კომუნისტია და 10 თანამგრძნობი.

— ბაქოში ამ ჟამად იმყოფება პროფესორი რეისნერი და კომუნიზმის შესახებ ლექციებს კითხულობს.

— ბაილოვის საპყობილე სავსეა „კონტრრევოლიუციონერებით“ ბოლშევიკები ისევ განაგრძობენ ხალხის დაპატიმრებას. ამ ჟამად ამ სატუსაღოში ითვლება 1300 პატიმარი.

— ბაქოში არსდება ქალაქის „წითელი გვარდია“.

— მცხოვრებლებს ბოლშევიკებმა მოსთხოვეს სრული განიარაღება.

— „ბურჟუა—კაპიტალისტების“ რეგისტრაცია დასრულდა 15 ივნისს.

— ტაგიევის სასახლე რეკვიზიციის წესით გადაცემულია მუსულმან ღარიბ ბავშვთა მზრუნველ საზოგადოების ორგანიზაციაზე.

— იუსტიციის ნარკომი აპირებს ჟურნალის გამოცემას.

— დაარსდა საბჭოთა ჟურნალისტთა კავშირი.

## დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ივნისის 17.

### ამერიკის პრეზიდენტი.

ამერიკის ელჩი დევისი წამოაყენეს კანდიტატად პრეზიდენტის არჩევნებში, როგორც ერთად ერთი კანდიდატი, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს რესპუბლიკანელების კანდიდატს სენატორ გარდიეგს.

### ხალხთა ლიგის საბჭო.

ხალხთა ლიგის საბჭოს ყრილობა უნდა შემდგარიყო ორშაბათს, მაგრამ გადადებული იქნა სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პრინც ფირუზის საფრანგეთის წარმომადგენელ დე-ფლერიოთან თათბირის გამო.

„პტი პარიზიენი“-ს ცნობით ფირუზმა აღნიშნა, რომ მოსკოვის მთავრობამ წინადადება მისცა მას პირდაპირ მოსალაპარაკებლად.

საბჭოს ყველა წევრმა აღიარა, რომ ამ ახალმა გარემოებამ სულ უნდა გაანადგუროს ლიგის მოქმედებაო.

სტეფანის სააგენტო ბეჭდავს რომში მყოფ საფრანგეთის ელჩი შენიშნავს ალბანეთის ამბების შესახებ. ზოგიერთი გაზეთები აღწერდენ რა ალბანეთის საკითხებს, იუწყებოდენ, ინსურგენტებმა ისარგებლეს ზარბაზნებით და მოტრალეზებით, რომელიც მათ ფრანგებმა სკუტარის ევაკუაციის დროს დაუთმესო. საფრანგეთის საელჩოს დავალებული აქვს განაცხადოს ოფიციალურად, რომ ასეთი ინფორმაცია სულ არ შეეფერება სინამდვილეს. საფრანგეთის ჯარმა თან წაიღო ყველა ზარბაზნები და მიტრალიეზები.

ვენაში ეროვნული ყრილობის მთავარი კომისიის სხდომაზე პირტიები შეთანხმდენ ახალი არჩევნების დანიშვნის აუცილებლობის შესახებ. თუ შესაძლებელი იქნება არჩევნები შემოდგომაზე მოხდება. გადაწყდა აგრეთვე, რომ რენერის კაბინეტი ახალ არჩევნებამდე მთავრობის სათავეში დარჩებაო.

ბერლინში ფიქრობენ, რომ ახალ კაბინეტში შევლენ დემოკრატები ცენტრი, ბავარიის სახალხო პარტია და გლეხთა ჯგუფის, სოციალ-დემოკრატები პრინციპიალურათ არ ჩაუდგებიან ოპოზიციაში და სასალხო პარტია აღნიშნულ კაბინეტს მხარს დაუჭერსო.

ბრიუსელიდან იუწყებიან: ეროვნულ თავდაცვის ხარჯ-აღრიცხვის შესახებ გამართულ კამათის დროს მინისტრმა, როდესაც იგი სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებაზე ლაპარაკობდა, განაცხადა საჭიროა სამხედრო შეთანხმებაში შევიდეთ დიდ მოკავშირეებთან საფრანგეთსა და ინგლისთანო. გერმანიის საფრთხე დიდია.

სურსათ-სანოვაგის მინისტრი იუწყება, რომ მთავრობამ უარყო კანონ-პროექტი შაქრის მომავალ მოსავლის რეკვიზიციისო.

დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ გადასწყვიტა აღმოსავლეთში გაიგზავნოს მისია მცირე აზიაში საფრანგეთის ინტერესების ადგილობრივ დაცვის შესასწავლად.

### სამხედრო ცნობა

**მოსკოვი,** 16 ივნისი. ბერეზინის სათავის რაიონში ჩვენი ნაწილები მტერს სდევნიან. ქმერინკის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც წარმატებით მისდევდენ უკან დახეულ მტერს, ხელთ იგდეს ქალ. ბრაცლავის ხაზი.

რუმინეთის წყაროებიდან მოსულ უკანასკნელ ცნობების თანახმად ახალი სერიოზული შეტაკება მომხდარა მუშებსა და ჯარს შორის. მკვდარია 40 კაცი, დაჭრილია 140. ამის გამო მთავრობამ კომუნისტების პარტია გამოაცხადა კანონს გარეშე და განკარგულება გასცა პარტიულ ორგანიზაციათა მოსპობის შესახებ. ამგვარად ბრძოლამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო.

**მოსკოვი,** ივნ. 17. თეთრ-გვარდიელთა ჯარების ძირითადი მასა აღარ არსებობს. ვრანგელი კერზონის დიპლომატიურ ნოტების ლოიდ-ჯორჯის ლაპარაკისა და უმთავრესად კი ჩერჩილის ყუმბარების დახმარებით ფიქრობს ზურგს უკან მოექცეს ჩვენ ჯარებს· ეხლა უნდა გავათავისუფლოდ ყირიმი ვრანგელის ჯარებისაგან ვაი მას. ვინც საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს. ჩვენი მდგომარეობა პოლონეთის ფრონტზე ეხლა დამაკმაყოფილებელია. მაგრამ, რომ ჩვენ შევძლოთ ჩვენი შეტევის განვითარება საჭიროა, რომ ფრონტი განუწყვეტლივ საზრდოობდეს ახალდებოდეს და ღონიერდებოდეს.

### ამერიკული ცნობები.

(ლიონიდან).

პარიზიდან ატყობინებენ „ჩიკაგო ტრიბუნს“: მოსკოვსა და პეტროგრადში შიმშილით იხოცებიან ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ქალაქები და სოფლები იხოცება სურსათ-სანოვაგის ნაკლულოვანობის გამო. ორ წელზე მეტია, რომ ხალხი არსებობისათვის საჭირო საჭმელს არ ღებულობს. პური ნახევრად თივისაგან შესდგება, ტალახიანი დ მჟავეა. რუსი მოქალაქეების უმთავრეს საჭმელს წარმოადგენს ასეთი პური და მოცვის ჩაი. იხოცებიან გამოფიტვისაგან, შიმშილისაგან და ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის უნარის დაკარგვის გამო. პეტროგრადის მცხოვრებთა რიცხვი შემცირდა. მუშებს არ სურთ ქალაქში დარჩენა, თუ მათ რაიმე ოდნავი შესაძლებლობა კი ნახეს სოფლებში მოსაწყობად. დარჩენილნი ადრე, თუ გვიან დაიხოცებიან.

## ახალი ამბები

**გენერალური შტაბისაგან.** ბათომის გაზეთ „ნაშ კრაი“ № 127-ში დაბეჭდილია წერილი სათაურით: „სიმართლე აჭარისტანის ამბების შესახებ“ ხელმოწერილია ვინმე მუხმედბეი კესკინ-ზადეს მიერ, რომელიც თავის თავს უწოდებს აჭარისტანის ჯარების მთავარ სარდალს; ხსენებულ წერილში ის აცხადებს, რომ ის დამტკიცებულია „აჭარისტანის რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლათ“ ინგლისის სარდლობის მიერ და რომ ინგლისის სარდლობამ და ანტანტამ ალღო აუღო აჭარლებს, რომლის სურვილია იცხოვრონ დამოუკიდებლად.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ფართო გამომცემლობითი გეგმა შეიმუშავა. ამ მოკლე ხანში განზრახულია სამეცნიერო და ზოგადი სალიტერატურო ხასიათის წიგნების გამოცემა. განზრახულია ვაჟა ფშაველას, ნინოშვილის და კლდიაშვილის წიგნების გამოცემა. უკვე გამოცემულია ქართულ სიტყვიერების ისტორია, „ქართველი მწერლები“ და ქართველ ბელეტრისტების რომანების რიგი. საზოგადოებამ 4½ მილ. მანეთის ქაღალდი შეიძინა გამომცემლობის შესაფერ ნიადაგზე დასაყენებლად.

◆ **სესხი ბორჯომს.** ბორჯომის ქალაქის თვითმმართველობამ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს იშუამდგომლოს რათა ქალაქს მისცენ სესხი 2—3 წლის ვადით სასურსათო საქმის მოსაწყობათ. ვალს უზრუნველყოფენ ქალაქის უძრავი ქონებით საფუთო გადასახადით.

◆ **მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა განთავისუფლება გადასახადისაგან.** შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსდის ცნობა იმის შესახებ, რომ გორის მაზრის ზოგი თემი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ გადასახადს ახდევინებსო. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეატყობინა გორის ერობას, რომ 24 თებ. დეკრეტის ძალით შეჩერებულია როგორც ძველი, ისე ახალი გადასახადების შეკრება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთაგან.

◆ **ახალი სააქციონერო საზოგადოება.** ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს წარუდგინეს დასამტკიცებლად მუნიციპალურ-საერობო კოოპერატიულ-სავაჭრო სააქციონერო საზოგადოების წესდების პროექტი, დამფუძნებელი არის ქუთაისის ქალ. თვითმმართველობა და ქუთ. კოოპერატივთა კავშირი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიწონა წესდების პროექტი იმ პირობით, რომ საზოგადოებას მიეცეს მხოლოდ იმ საგნების გატანის უფლება, რომლის ნებართვაც მთავრობა იძლევა.

◆ **სესხი ერობებს.** მთავრობამ დაადგინა სიღნაღისა და შორაპნის მაზრის ერობებს სესხათ მისცეს თითეულს 3 მილიონი მანეთი.

◆ **საეკლესიო კრება.** 27 ივნისს ტფილისში მოიწვევენ საქართველოს მეორე საეკლესიო კრებას.

◆ **ჟურნალისტთა კავშირი.** ჟურნალისტების პროფესიონ. კავშირის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე ირჩეოდა წინადადება ტფილისში ზეპირ გაზეთის საღამოს მოწყობის შესახებ. ეს წინადადება საგანგებო კომისიას გადაეცა განსახილველად. ამავე სხდომაზე ირჩეოდა კომისიის მოხსენება ჟურნალისტების შრომის ეკონომიური პირობების გამოკვლევის შესახებ. ამავე დროს დასმულია საკითხი შრომის ხელფასის ნორმის შესახებ. სირთულის გამო საკითხი შემდეგი სხდომისათვის გადაიდვა.

◆ **თავისუფალი ფასები ბაზარზე.** სავაჭრო-სამრეწველო პალატის ცნობებით ბაზარზე ამ ჟამად ასეთი თავისუფალი ფასები არსებობს საქონელზე: გარეცხილი მატყლი ფუთი 1800 მ., გაურეცხავი—1000—1200 მან., ჯაგარი გაწმენდილი 25,000 მ., გაუწმენდავი —14000 მ., კახური ღვინო—800—400 მ. ვედრა. შაქარი რაფინადი—3200 მ., ფხვნილი—3000 მ., სიმინდი—1000 მ., ლობიო—640 მ., კარტოფილი 550 მ., გადამდნარი ერბო გირვ. 220 მ., კარაქი—240 მ., ყველი გირვ. 70—80 მ., 100 კვერცხი 700 მ., ფქვილი რუსული ფუთი—1700 მ., ადგილობრივი 1500 მ.,

◆ **მოწაფეთა ექსკურსია.** სახალხო განათლების სამინისტრომ აუწყა ყველა საშუალო სასწავლებლის დირექტორებს ქალაქის და ერობის თვითმართველობებს, რომ სათბობი მასალის სიმცირის გამო რკინის გზაზე მოძრაობა შემცირებულია. ასეთი შემოკლება განზრახულია კიდევ მომავალში, სანამ მასალის კრიზისი არ იქნება თავიდან აცილებული. ამის გარდა ვაგონების უმეტესობა სურსათის ზიდვის საქმეს ემსახურება. აღნიშნულის გამო სახალხო განათლების სამინისტრო გზათა დეპარტამენტთან შეთანხმებით, წინადადებას იძლევა არ აღძრან შუამდგომლობა, როგორც ცალკე ვაგონების, ისე ვაგონების განყოფილების დასათმობათ მოწაფეთა ექსკურსიებისათვის.

◆ **დახმარება გადასახლებულთ.** მთავრობამ დაადგინა გადასახლებულთა საჭიროებისათვის გადასდოს 3,630,000 მ. გზათა მინისტრს დაევალა დამფუძნელ კრებაზი წარადგინოს შესაფერი კანონ-პროექტი.

◆ **დანიშვნა.** მთავრობის დადგენილებით 10 ივნისს, სუხუმის საოლქო სასამართლოში ინიშნება უფროს ნოტარიუსად. გ. ზავადოვსკი და პროკურორის ამხანაგად დ. სულთანოვი.

◆ **რუსეთის ყოფ. კლუბის შენობა.** მთავრობის საქმეთა გამგის მოხსენებით დაადგინენ რუსეთის ყოფ. კლუბის მოძრავი და უძრავი ქონება, როგორც უპატრონო ქონება, აღიარონ სახელმწიფო საკუთრებათ. მიწადმოქმედების მინისტრს დაევალა მიიღოს თავის განკარგულებაში ეს ქონება.

◆ **შემოწირულება ფრონტისთვის.** ჩვენმა რედაქციამ მიიღო ფრონტის ფონდის გასაძლიერებლად დუშეთის ქალთა წრის „მომავლისაგან“ 2200 მ.,

აბაშის თემის საერობო გამგეობისაგან 4000 მანეთი (შემომწირველთა სია არ მიგვიღია) ფული გადაეცა ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტს.

## მუშათა ცხოვრება

### პროფ. კავშირთა საბჭო.

18 ივნისს მორიგ სხდომაზე სხვათა შორის განხილულ იქნება ბინის ქირის სპეციალური საკითხი. დღის წესრიგში სდგას საბჭოს ხელახლად არჩევნებიც.

### ვაჭრობა მრეწველობის მოსამსახურეები.

ვაჭრობა მრეწველობის მოსამსახურეთა კავშირის გამგეობამ დაადგინა მიიღოს თავის თავზე კავშირის წევრების სურსათით უზრუნველყოფის საქმის მოწესრიგება.

### საავადმყოფო კასები.

შრომის კომისარმა ყველა წარმოების მეპატრონეთა და გამგეთ, რომლებიც ქალაქის საერთო საავათმყოფო კასაში შედიან მიმართა ცირკულიარით, სადაც აღნიშნულია, რომ ქალაქის საერთო—კასამ განუცხადა მას: ზოგიერთი მეპატრონე, მიუხედავათ მუშების ავათმყობის დროს დაზღვევის კანონის სწორათ აღნიშვნისა, არ იძლევიან ცნობებს მუშათა შემადგენლობაში მომხდარ ცვლილების შესახებ. ამის გამო მეპატრონეთა და გამგეებს წინადადება მიეცათ არა უგვიანეს 1 ივლისისა წარადგინონ ნამდვილი ცნობები მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვისა, ხელფასის და სხვ. შესახებ, ამასთანავე წინადადება ეძლევათ მათ საავათმყოფო კასის გამგეობას აუწყონ შემადგენლობაში მომხდარ ყოველივე ცვლილების შესახებ.

### კასის რწმუნებულების საერთო-კრება.

20 ივნისს მუშათა კლუბის შენობაში შესდგება ტფილისის ქალაქის საერთო საავათმყოფო კასის რწმუნებულთა კრება უმთავრესად განიხილავენ კასის მონაწილეების მეუღლეთა მშობიარობის დროს დახმარების გადიდების საკითხს. გადაწყდა წინასწარ წარადგინონ ოპერაციების „ტაკსიროვკა“. კასაში მონაწილეს ოჯახის წევრის დასაფლავების დროს მიეცეს 1,500 მან. მოზრდილთათვის, 1000 მან. ბავშვებისათვის. მშობიარობის დროს მონაწილეთ მიეცემათ 1000 მან. საავათმყოფო კასის გამგეობას აუცილებლად მიაჩნია თავის თავზე მიიღოს ინიციატივა და აიძულოს ყველა მონაწილეთა ოჯახები რომ ყვავილი აიცრან.

## მასწავლებელთა კავშირში

### სასკოლო ანკეტა

კავშირი იმუშავებს დაახლოვებით ანკეტას, რათა გამოარკვიოს რიცხვი სკოლებისა, მასწავლებელთა, მოსწავლეთა, სამასწავლებლო შემადგენლობის მატერიალური მდგომარეობა და რესპუბლიკაში სკოლის ასაკამდე და სკოლის გარეშე განათლების მდგომარეობა.

### საპენსიო კასა

მასწავლებელთა კავშირის ბიურომ განათლების მინისტრსა და დამფუძნებელ კრების სახალხო განათლების კომისიას წარუდგინა მასწავლებელთა კონფერენციის მიერ მიღებულ საპენსიო კასის შემადგენლობა.

### მასწავლებელთა საზაფხულო დასვენება

მასწავლებელთა კავშირის ბიურომ სახალხო განათლების მინისტრს მიმართა თხოვნით, რათა კავშირის განკარგულებაში გადასცენ კოჯრისა და აბასთუმნის სახელმწიფო შენობები მასწავლებელთა საზაფხულო დასასვენებლად.

## ტყის გაშენება ტფილისის გარშემო.

(დასასრული).

ოცი წელიწადი ჩვენი ტფილისის ბუნების გამოსაღვიძებლათ საკმარისი არ არის, რომ აქ ისევ პირვანდელი ტყე განჩნდეს. ამისათვის ტფილისის ჰავა მეტის მეტად ხმელია, რის გამოც ტყეს უძნელდება გაზრდა და გამრავლება. აქ ხე მომეტებულ ხანს ძლივს-ძლიობით ღონღილობს, მხოლოდ იშვიათად, როცა ზაფხული ნესტიანია, ხის ზრდა შესამჩნევად მატულობს; ხის ნორმალურ ცხოვრებას ისიც აფერხებს, რომ ნიადაგი ამ დაქანებულ კლდეებზედ ან სულ არ არის, ან ძალიან თხელია. ის ნიადაგი, რომელიც აქ უწინ იყო ტყის მოსპობის შემდეგ ჩაირეცხა, ნიაღვარმა წაიღო. რომ ტყემ აქ ისევ ფეხი მოიკიდოს, საჭიროა ნიადაგის გაჩენა, ამისათვის კი საჭიროა რამდენიმე ათეული წელი. ბუნებრივი ტყის აღმოცენება აქ ხდება იმ ნაირად, რომ ხეები და ჯაგები პირველად ჩნდებიან იქ, საცა მეტი სინესტეა·ხევებში, ან საცა ნიადაგი შერჩენილია. შემდეგში თვით ხეები და ბუჩქები ერთის მხრივ იჭერენ გარეცხვისაგან იმ ნიადაგს, რომელიც მათ უკავიათ, მეორე მხრივ თვითონ ამზადებენ ახალ ნიადაგს თავის ფესვებით და ფოთლებით. ტფილისის მიდამოებში ნიადაგ-შექმნითი პროცესი ჰავის სიხმელის გამო მიმდინარეობს მეტის მეტათ ნელის ნა-

ბიჯით, ზანტათ: ტყის აღმოცენას აძნელებს ერთის მხრივ ის გარემოება, რომ აქ ნიადაგი განჟღენთილია გიფსით (გაჯიანი მიწა), რომელიც მეტადრე ბევრია მტკვრის მარცხენა მხარეს—მახათის გორისაკენ და მეორეს მხრივ წყლის რაოდენობა ნიადაგში უახლოვდება იმ მინიმუმს, რომელიც ტყის ზრდას საზღვარს უდებს. აი ეს ორი გარემოება—მინიმუმი წყლისა და მაქსიმუმი ნიადაგის მარილეულობისა გვიკარნახებს ჩვენ, რომ თუ ტყის მალი აღორძინება გვინდა უნდა მივეშველოთ ბუნებას და ვიხმაროთ ისეთი ზომები, რომელიც უფრო იაფად და უფრო მოკლე ხანს მიგვახწევინებს მიზანს. ამისათვის კი შემდეგი ზომების მიღებაა საჭირო.

სრულიად უნდა აიკრძალოს საქონლის ძოვება, დაირგოს, ან უკეთ, დაითესოს იმისთანა ხეები, რომელიც ადვილათ ურიგდებიან წყლის მინიმუმს და მარილეულობის მაქსიმუმს. ამისთანა ჯიშები ბევრია, როგორც საქართველოში, ისე სხვა უცხო ქვეყნებში. ჩვენი ჯიშის ხეებიდგან აქ გამოდგება: მუხა, აკაკი, თეთრი რცხილა და მეტადრე ჯაგრცხილა, ღვია, ელდარას ფიჭვი, თრიმლი, ნუში და სხვა და სხვა. საზღვარგარეთის ხეებიდან საჭიროა გავამრავლოდ კედრი, ტუია, გლედიჩია, პიონერათ ყველგან გამოდგება აილანტუსი. ძოვების აკრძალვა შეაწუხებს საქონლის მეპატრონეებს, მაგრამ ამ შეწუხებას ადგილი ექნება მხოლოდ პირველ ხანში სანამ შეეჩვევიან საქონლის სწორ მოვლა-შენახვას. საქმე იმაშია, რომ განათლებულ ქვეყნებში საქონელი ბაგაზედა ჰყავთ დაბმული და ისე ჰკვებავენ, ეს ხდება იმ მოსაზრებით, რომ ძიარულში საქონელი იღლება, ბევრ ენერგიას ხარჯავს, ცვდება, ეკაწრება ტყავი, არ სუქდება და ნაკლებ რძესაც იძლევა. იქ საცა მერძეობა მეტის მეტი შემოსავლიანია, როგორც ტფილისში, აუცილებლივ ბაგაზედ უნდა ებას საქონელი; ის ხარჯი, რომელიც ემატება პაზრონს საქონლის შენახვით, ერთი ორათ დაუბრუნდება საქონლისაგანავე. მაინც ესეც რომ არ იყვეს ძოვების აკრძალვა ტფილისის მიდამოებში სრულიად კანონიერ ზომად უნდა ჩაითვალოს იმ მოსაზრებით, რომ საქონლის მეპატრონენი უფრო შეძლებულ კლასს ეკუთვნიან*), ამ საქონლის ძოვების შედეგით კი ტფილისის მიდამოების უტყეობით უმთარესად შეწუხებულია ის ნაწილი მოქალაქეებისა, რომელიც ეკონომიურად დაქვეითებულია, რომელსაც თავის სიღარიბის გამო საშუალება არა აქვს გაექცეს ზაფხულის სიცხეებს და ტფილისის ვერაგულ ბუნებას, მასთან არც იმდენი შეძლება აქვს, რომ იყიდოს ხოლმე ტფილისის ძვირი და ნახევრად წყალარეული რძე. ჩვენ აქ ხაზს უსვამთ იმ გარემოებას, რომ უმთავრესი მიზეზი რძის სიძვირისა არის ის მდაბიო, ის გარეული მესაქონლეობა, რომელსაც ადგილი აქვს ტფილისში, როცა საქონელს კი არ უმზადებენ საჭმელს, არამედ თვით საქონელმა უნდა ეძებოს მოფხეკილ კლდეებზე საჭმელი. მართალია, საქონლის პატრონს აქ ძალიან ნაკლები ხარჯები აქვს, სამაგიეროთ მისი შემოსავალიც არ აღემატება ამ ხარჯზე. თუ ერთი მხრივ საქონლის შენახვა მოწესრიგდა იმნაირად, რომ მშიერმა საქონელმა არ გააფუჭა ხეები და ბუჩქები, მეორეს მხრივ დაიწყება ტყის გაშენება, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტფილისის მიდამოები სულ ახლო მომავალში ტყეებით შეიმოსება.

ამნაირად ტფილისის წარსული, ეხლანდელი ბუნება და ნიადაგი საშუალებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ შესაძლებელია ტფილისის მიდამოები ტყით შეიმოსოს, მეტადრე მარჯვენა (მამადავითის) მხარე. აქ შეიძლება გაშენდეს, როგორც ფოთლიანი, ისე წიწვიანი ტყე. ამისთვის უპირველესი ზომა, რომელიც ჩვენ უნდა ვიხმაროთ, არის საქონლის ძოვების აკრძალვა ყველგან, საცა საჭიროა ტყის გაშენება თუ კი საქონლისგან დაიფარება ეს ადგილები, თვით ბუნება მოგვეშველება ტყის გაშენების საქმეში, ჩვენი მხრივ კი საჭიროა შეურჩიოთ ხმელ ნიადაგის და ჰავის მიხედვით შესაფერი ხეების ჯიშები, რომელნიც ამ ადგილებზე ადვილადაც იზრდება და ჰიგიენის მხრივაც მეტი მნიშვნელობაც ექნება. ტყეების გაშენების საქმე ტფილისის მიდამოებზე იმდენად მრავალ მნიშვნელოვანი და სასურველია, რომ ქალაქმა უნდა იხმაროს თავისი გავლენა და ავტორიტეტი ამ საქმის განხორციელებაში; საჭიროა ტფილისის მიდამოები და მეტადრე აქ შერჩენილი ტყეები და ბუჩქნარები გამოცხადდეს მუდმივ დაცულ ტყეებათ, საცა საქონლის ძოვებასაც უნდა ბოლო მოეღოს შესაფერისი განკარგულების მოხდენით. და თუ ეს ასე მოხდა ჩვენს დედა ქალაქს ტფილისს მალე დაამშვენებს მწვანე ტყეები, სადაც მოქალაქენი შესძლებენ ისარგებლონ ზაფხულობით ჯანმთელი და საღი ტყის ჰაერით, მეტ დროს ისინი გაატარებენ ბუნების კალთებზე და გარეშე ამისა არც ქალაქს დასჭირდება ყოველწლიურად ხარჯების გაწევა ტფილისის ქუჩების გაწმენდაზე ხრიოკებიდან ჩამოტანილ ლამისა და ქვიშისაგან.

პროფესორი ხ. ქურდიანი.

*) ძალიან ხშირად აქ აძოვებენ ჩარჩები და ყასბები იმ საქონელს, რომლის დაკვლა რამე მიზეზით (უფრო სპეკულიაციის გამო) ჯერჯ რობით სასურველი არ არის.

# ბიბლიოგრაფია.

„საქართველოს რესპუბლიკა“-ს რედაქციამ მიიღო ბერნში არსებულ საქართველოს პრესბიუროსაგან ორი მეტად მნიშვნელოვანი წიგნი: ერთი: „La Géorgie du point de vue dn droit international par O. Nippold professeur de droit international. Edition du Bureau de Presse Géorgien. 1920. (საქართველო ინტერნაციონალ უფლების თვალსაზრისით. პროფ. ო. ნიპოლდის.) და მეორე: Emmanuel Kuhne. La Géorgie libre. son passé,—son présent—son avenir. Edition atar Genéve 1920.: (თავისუფალი საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. ემმანუელ კუნის.) პროფესორ ნიპოლდის წიგნის შესახებ საყურადღებო წერილია. „La tribune de Genéve 1-er avril 1920 г. თვით ემმანუელ კუნის. (აღნიშნულ წერილის თარგმანს მოვათავსებთ უახლოეს ნომერში). წიგნები თანამედროვე გემოვნებით არის გამოცემული კარგს ქაღალდზე. პირველი შეიცავს 78 გვერდს მეორე 96-ს. S. I.

# რკინის გზაზე

**წარმომადგენლის გაგზავნა.**

მთავრობამ დაადგინა კახეთის რკ. გზ. აქციონერების ყრილობაზე დასასწრებლად 30 ივნისს გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები-ინჟენერი გვარამაძე და ვაჭრობა მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი ალშიბაია.

**მიმოსვლის აღდგენა.**

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის მიერ მიღებულია დეპეშა, რომელშიაც იუწყებიან, რომ მიმოსვლა, რომელიც უკანასკნელ წვიმების გამო შეჩერებული იყო სუმბატოვო-ბორჯომს შორის, აღდგენილია. მიმოსვლა ბორჯომ-ბაკურიანის შტოზე თანდათან იწყება. ბილეთები იყიდება და ბარგსაც ღებულობენ.

**ნახშირის მტვერი.**

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება ქვანახშირის საწყობის კეთებას შეუდგა, სადაც ჩაყრიან ნამტვრევ ნახშირს და რომელსაც შემდეგ მოაწოდებს საწარმოვო დაწესებულებებს ქვაბების გასათბობად. საწყობი მისცემს ნაშხირის მტვერს იმ წარმოებას, რომელიც ტფილისას ტერიტორიაზე მოქმედებს, სასურსათო განყოფილებამ გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებიდან ნახშირის მტვერის და ნამტვრევის დათმობის შესახებ. ასეთი ნამტვრევი, განყოფილების ცნობებით, ტყიბულში 1/2 მილ. ფუთზე მეტი არის. ამ ნამტვრევს შემდეგ მცხოვრებლებსაც მისცემენ.

**რკინის გზელთა კავშირი.**

რკინის გზელთა პროფესიონალური კავშირი იმუშავებს საკითხს რკინის გზების მოსამსახურეების და მუშების კატეგორიებათ დაყოფის შესახებ.

## განცხადებანი

დაიკარგა დროებითი მოწმობა № 1406 ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე პეტროვის სახელზე, მიღებული ალექსანდროპოლის ქალაქის მილიციის სამმართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 1530 3—1

დაიკარგა ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1903 წ. მარტის 3 დამტკიცებული საჯარო ვაჭრობის საბუთი № 509 ზაქარია პეტრეს ძე მიქაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1483 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 204, მიღებული ახალციხის მდაბიო მოქალაქეთა სამართველოდან; მეტრიკული ამონაწერი, სარეგისტრაციო ამონაწერი № 84, მიღებული ტფ. ქალაქის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, იაკოფ მიხეილის ძე გოკიელოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს 1468 3-3

დაიკარგა: 1. მოწმობა, მოცემული ხანასორის ბატალიონიდან; 2. ჯვრების მოწმობა; 3. ჭრილობის მოწმობა, 1-ლი კომისიის მიერ მოცემული; 4. ტფ. გუბერნიის კომისარისაგან მოცემული მოწმობა, ადგილობრივ ცხოვრების და 5. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის ბარათი—ტიგრან ოგანიანის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. უფ. 3—1

დაიკარგა ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ მიცემული ვაჭრობის ნებართვა, ალექსანდრე გიორგის ძე ჯაფარიძას სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1449 3—1

დაიკარგა ტფილისის ვაჟთა მე-5 გიმნაზიის კანცელარიის მიერ გაცემული მოწაფეების მოწმობა № 36, ლევან სიმონის ძე ფორაქიშვილის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1456 3—1

დაიკარგა პასპორტი, გაცემული ზესტაფონის მაზრის სამმართველოდან 1012 წ. ვარლამ სანდროს ძე მაჭავარიანის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1451 3-1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 15 ივლისს 1885 წ. № 763 რეესტრით ტფილისის საქველმოქმედო საზოგადოების სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1504 3—1

დაიკარგა ატესტატი № 598, გაცემული ტფილისის რეალურ სასწავლებლის კანცელარიის მიერ 1914 წ. და მოწმობა იმავე სასწავლებლის დამატებითი კლასის № 501. ივანე დავითის ძე სერებრიაკოვას სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1518 3—1

დაიკარგა ატესტატი ტფილისის რეალურ სასწავლებლის კანცელარიის მიერ გაცემული 1914 წ. და დამატებითი კლასის დამთავრების მოწმობა 1915 წ. ალექსანდრე ტიტეს ძე ფეფელოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1519 3—1

დაიკარგა მოწმობა № 63 სტ. გიორგი ოქროპირის ძე ნიკოლაიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1489 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ანდრიევის ქ., № 91, მდებარე სახლი, რომელიც ეკუთვნის მართა ბაგდანოვის ასული გაუს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1505 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი რუსთაველის პროსპექტი, № 16 მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის გოგრელაშვილს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1490 3—1

სავაჭრო სასურსათო საზედამხედველოს აგენტათ ყოფილ იონა დავითის ძე მინდელის სახელზედ სასურსათო განყოფილებისაგან გაცემული მოწმობა 1919 წ. ნოემბრის თარიღით გაუქმებულია, რასაც ქ. ვ. სასურსათო განყოფილება აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ. 649 3—1

ნავთლუღის რკინის გზის გვარდიელი დირიან ერმალოს ძე პაიჭაძე აცხადებს, რომ 15 ივნისს მას გაუტეხეს სახლი, ბოროტ გამზრახველებმა სხვა ნივთებთან ერთად წაიღეს პასპორტი, მოცემული ერკეთის საზოგადოების სამმართველოს მიერ, სოც. დემ. პარტიის წევრობის მოწმობა, რკინის გზის უფასო ბილეთი სურათით და რევოლვერ „კოლტის“ ტარების ნებართვა. საბუთები გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—1

დავკარგე პიროვნების მოწმობა № 266 მიღებული კოხნარის ერობისაგან ილიკო მასიკოს ძე გიორგაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1459 3—1

დაიკარგა მოწმობა № 1256 ნადეჟდა მიხეილის ასული ზემცოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1522 3—1

დაიკარგა პასპორტი გრიგოლ მინას ძე ქოხონელიძეს სახელზე, მიღებული პატარა ონის საზოგადოებიდან (რაჭა). გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1403 3-3

დაიკარგა ატესტატი, მიცემული ოზურგეთის საქსოვ სახელოსნოდან ეკატერინე (ქეთევან) ვლადიმერის ასულის რამიშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1503 3—2

დაიკარგა პასპორტი ენოქ ამბარცუმოვის ძე მიკირტიჩიანცის სახელზე, მიღებული ჯალალ ოღლის სოფლის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1463 3—2

დაიკარგა პასპორტი რებეკა შეფსელის ასული რეიზნერის სახელზე, მიღებული ბაქოში, გაუქმებულად ჩაითვალოს. 1467 3—2

დაიკარგა პასპორტი № 145 გაცემული ფოთის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან, გრიგოლ ლევანის ძე გუნიას სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1473 3-2

დაიკარგა ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის კანცელარიის მიერ გაცემული მოწმობა № 77 არუთინ მეჟლუმას ძე ოგანოვის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1474 3—2

დაიკარგა პასპორტი გერასიმე კოსტას ძე კობახიძის სახელზე, მიღებული ბუგეულის საზ. (რაჭის მაზრა) ვომისრისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1439 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი, გაცემული ტფილისის პოლიცმეისტერისგან დავით გრიგოლის ძე სალაღოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1393 3—2

დაიკარგა პასპორტი № 1487 გიორგი ჩაჩნიაშვილის სახელზე მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1217 3—3

# მიწად-მოქმედების სამინისტროს

**გადასახლების განყოფილება**

აცხადებს ყველა კერძო პირთა, საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ ყოფილი განყოფილების აგენტი ალექსანდრე ივანეს ძე კოზმავა ამ თანამდებობაზედ აღარ არის და განყოფილების მიერ მიცემული მოწმობა 1919 წლის 16 ენკენისთვის თარიღით № 409 გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 647 3—3

# გზათა დეპარტამენტის კანცელარია

**ამით აცხადებს, რომ 20 ამ ივნისს, დილის 12 საათზე**

პლეხანოვის ქ. № 50 (ყოფ. საავტომობილო განყ. შენობაში) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გზათა სამინისტროს ყოფილი საავტომობილო განყოფილების ნივთების გასაყიდათ. ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ცნობები ამ საგანზე გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში. 646 3—2

# მომხმარებელ საზ. „ტფილისის კოოპერატივის“

წლიურ საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია კვირას 1920 წ. ივნისის 20-ს, დილის 10 ს. ტფილისის წრის საზაფხულო შენობაში (კირკის ქ., ვერის ხიდის გვერდით) განსახილველია საკითხები: 1. 1920 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი. 2. პაის გადიდება. 3. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. 4. მიმდინარე საკითხები. ეს კრება, როგორც 13 ივნისის კრების გაგრძელება, კანონიერათ ჩაითვლება მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა. ის პირნი, რომლებიც საზოგადო კრების დღისთვის არ შეიტანენ ყველა გადასახადს სრულ პაიმდე (40 მან.) წესდების მე-16 §-ის 1 შენიშვნის თანახმად არ სარგებლობენ ხმის უფლებით საზოგადო კრებაზე. სხდომაზე დასასწრებლათ აუცილებელია საწევრო წიგნაკების წარდგენა. 1514 1—

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოად. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი.